(997) ... ყველა ქვეყნის, შეერთდით! სამშაბათი, 5 იანვარი 1926 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

2 (997) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## ...მტკიცედ გავატაროთ ცხოვრებაში პარტყრილობის დადგენილებები.

ჩვენი პარტიის მეXIV ყრილობა დასრულდა. ორი კვი...ის დაუღალავი მუშაობის შე...დეგ პარტიის უზენაეს ორგა...ომ დასძლია ყველა საკითხე...ი, ჯამი გაუკეთა წარსულ მუ...შაობას და გარკვეულად და ნათლად დასახა მომავალი მოღვაწეობის ამოცანები. მიუხედავათ ლენინგრადელი ამხანაგების გამოსვლებისა ყრილობის დიდი უმრავლესობის წინააღმდეგ, ყრილობა მაინც ჩატარდა ერთსულოვნობისა და ...თლიანობის ნიშნის ქვეშ. რო...ა ყრილობის დასაწყისში ლენინგრადის დელეგაციამ დაი...რა არა ლენინური ხაზი, გადაუხვია ნამდვილ ბოლშევი...ურ გზას და დაუპირდაპირდა ...ელი ყრილობას, ჩვენი მტრე...ს ბანაკში კვლავ ასტყდა იმე...იანი ყაყანი ჩვენი პარტიის ...ვის შესახებ. მაგრამ რო...ც ყოველთვის, ისე ეხლაც ...ბჭოთა კავშირის მტრებს სა...ტიკად გაუცრუვდათ იმედი. ლენინის პარტიამ შესძლო ყოველგვარი სიძნელეს გადალახ..., მან სასტიკად დაგმო ოპო...ციის ხაზი და წესრიგისაკენ ...უწოდა გზააბნეულ ამხანაგებს. ყოველგვარ დავას და აზრ...ა სხვადასხვაობას პარტიის მი...ე საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობის ძირითად საკითხებში ...ეღო ბოლო.

ეხლა ჩვენი პარტიის წინაშე ...დგას ამოცანა დაუყონებლივ ...უდგეს დასახულ ამოცანების ...ნხორციელებას და წინანდე...ი ენერგიით და შეუდრეკ...ლობით განაგრძოს ლენინის მიერ დატოვებულ ანდერძების განხორციელება. და ამ მუშაობაში კიდევ უფრო მეტი ერთსულოვნებით, კიდევ უფრო მეტის გულმოდგინეობით პარტიის გვერდში უნდა ამოუდგენ ყველა მუშები და გლეხები და მასთან ერთად მხურვალედ უნდა ჩაებან სოციალისტურ აღმშენებლობაში.

კომუნისტური პარტია მუშების და გლეხების ხელმძღვანელია. ამიტომაც თითეული მისი დადგენილება, თითეული მის მიერ დასახული ამოცანა კარგად უნდა იცოდეს ყოველმა მუშამ, გლეხმა და წითელ არმიელმა. ყრილობის დამთავრების შემდეგ ჩვენ გადაუდებელ ამოცანას შეადგენს კარგად გავეცნოთ და შევისწავლოთ მე-XIV პარტყრილობის რეზოლიუციები და აგრეთვე სხვებსაც გავაცნოთ ისინი.

ჩვენი წითელ ჯარის უჯრედებმა ამ საქმეს ამ თავითვე უნდა მოჰკიდონ ხელი და ფართედ განუმარტონ წითელ არმიელებს, თუ რა დაადგინა პარტიის ყრილობამ ამა თუ იმ საკითხზე.

წითელ არმიელებმა კი თავის მხრივ კიდევ უფრო მჭიდროთ უნდა დაუახლოვდენ ნაწილის პარტორგანიზაციას და უფრო მეტად უნდა გააძლიერონ თავისი კავშირი მასთან.

კომპარტიის გარშემო მჭიდროთ შეკავშირებული მუშები და გლეხები მისი ხელმძღვანელობის ქვეშ გადალახავენ ყოველგვარ სიძნელეს და დაამყარებენ სოციალიზმს.

## ...ბჭოთა ხელისუფლება ყოველთ...ის და ყოველმხრივ ზრუნავს წითელ არმიელის ოჯახზე.

საბჭოთა ხელისუფლება იწ...ვს რა სამხედრო სამსახურში ...ლგაზრდა მუშას და გლეხს, ...ვე დროს არ ივიწყებს მის ...ჯახს და ყოველმხრივ ზრუ...ვს ამ უკანასკნელზე.

მუშურ-გლეხურ მთავრობის ...ერ გამოცემულია მთელი რი... კანონებისა, რომელთა თა...ხმად წითელ არმიელთა ოჯა...ბს ენიჭება სხვა და სხვა შე...ავათები. ამ შეღავათების დაცვა ...ა სისწორით გატარება ცხოვ...ებაში სავსებით უზრუნველ... წითელ არმიელის მე...რ...ობის ნორმალურად განვი...არებას. ხშირია შემთხვევები, ...ოცა ეს შეღავათები ზოგი...რთ ადგილობრივ ხელისუფ...ებების მიერ არ ტარდება ...ხოვრებაში ან მახინჯდება. საბჭოთა მთავრობამ ამ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება და კიდეც გამოიტანა შესაფერი დადგენილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ტარდებოდეს წითელ არმიელთა და მათ ოჯახების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა. ეს დადგენილება დღეს დამატებითი ფურცლად მიდის ჩვენს გაზეთში.

საჭიროა, რათა ამ დადგენილებას და საზოგადოთ იმ შეღავათებს და უპირატესობებს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ანიჭებს წითელ არმიელებს და მათ ოჯახებს, წითელ არმიელები კარგად გაეცნონ.

შეღავათების კანონებისა და აგრეთვე ამ კანონების გატარების ინსტრუქციის გარკვევაში წითელ არმიელებს ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ ნაწილის პოლიტხელები და მეთაურები. უნდა მივაღწიოთ მას, რომ არა თუ თითეულ წითელ მებრძოლმა, არამედ ყველა მუშებმა და გლეხებმა იცოდენ კანონები მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო მოსამსახურეთა შეღავათებისა და უპირატესობების შესახებ და ამ კანონების განხორციელების წესი. მაშინ არავითარ გაუგებრობას, არავითარ უკმაყოფილებას და გადამახინჯებას ამ მხრივ არ ექნება ადგილი.

დღევანდელ ჩვენ გაზეთში ცალკე დამატებათ მოთავსებული დადგენილება კიდევ ერთხელ ნათლად გვიჩვენებს ჩვენ მას, თუ როგორ დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება წითელ არმიელთა ოჯახებს და მათ ინტერესების დაცვას. მუშურ-გლეხური მთავრობა ყოველივე ამას შვება იმიტომ, რომ ერთის მხრივ წითელ არმიელის ოჯახს არ დაეტყოს მისი წასვლა, არ დაეცეს წითელ არმიელის მეურნეობა, ხოლო მეორეს მხრივ სრულიად დამშვიდებული იმით, რომ მის ოჯახს არაფერი არ მოაკლდება, წითელ არმიელმა გულმოდგინეთ იმსახუროს წითელ ჯარში და მით პირნათლად მოიხადოს თავისი ვალი საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

ამიტომაც ჩვენმა წითელ არმიელებმა ჩვენი მთავრობის ამ ნაბიჯს უნდა უპასუხონ სამხედრო სწავლის მეტი გაძლიერებით და მეტის ხალისით იმუშაონ წითელი არმიის რიგების გასაძლიერებლად და გასამტკიცებლად.

— ბ.

# ახალი რადიო-ამბები

## შესდგა პეკინის ახალი მთავრობა

### მოელიან დუან-ცზი-ჩჟუის გადადგომას

შესდგა პეკინის ახალი მთავრობა შუ-ში-ინის მეთაურობით. საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ვან-ჩენ-ტინი. მთავრობაში შედის ფინ-იუი-სიანის 2 მომხრე და ერთი მემარცხენე გომინდანელი.

ფიქრობენ, რომ დროებითი მმართველი დუან-ცზი-ჩჟუი გადადგება, განსაკუთრებით გენერალ სიუს მოკვლის გამო, რომელსაც აღმოაჩნდა დუან-ცზი-ჩჟუის სახელის გამტეხი საბუთები.

## ბულგარეთის მთავრობის გადადგომის წინ.

ბულგარეთის მთავრობის კრიზისი გრძელდება. ცანკოვს აღარ უჭერს მხარს მთავრობის უმეტესობა. ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობის შედგენა მიენდობა მთავრობის კოალიციის მემარცხენე ფრთის ბელადს ლიაპჩევს.

ცანკოვს წინადადება მისცეს გადადგომის შესახებ. მან თანხმობა განაცხადა, მაგრამ იმ პირობით, თუ რომ ახალ მთავრობაში საგარეო მინისტრად დარჩება კალფოვი და შინაგან მინისტრად რუსევი.

## ბულგარეთის მთავრობის ამნისტია

ბულგარეთის ეროვნულ კრებამ მიიღო ამნისტიის კანონპროექტი, რომლის ძალითაც თავისუფლდებიან 1923 წლის ივნის—სექტემბერის აჯანყების მეთაურები და მონაწილენი. ამნისტია არ ეხება კომპარტიის ცეკას წევრებსა და სოფიის ტაძრის აფეთქებასთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიცემულ პირებს.

## რუმინეთის მეფისწულმა უარი განაცხადა სამეფო ტახტზე

რუმინეთის მეფისწულმა უარი განაცხადა თავის სატახტო უფლებებზე.

მეფის გარდაცვალების შემთხვევისთვის დაარსებულ იქნა მმართველობა, რომელშიაც შედიან პატრიარქი მირონი, მთავარი შტაბის ყოფილი უფროსი პრეხანი და ყოფილ ტახტის მემკვიდრის ძმა ნიკოლოზი.

მეფისწულის უარი ტახტზე გამოწვეულია ალბად იმ მიზეზით, რომ მას ახლო კავშირი ჰქონდა ეროვნულ-ფაშისტურ ორგანიზაციასთან. ამ ორგანიზაციამ ფართედ გაშალა თავისი მუშაობა და დიდი გავლენა მოიპოვა არმიაში.

## გრძელდება რღვევა მენშევიკურ ემიგრაციაში.

საქართველოს მენშევიკურ პროფკავშირთა საბჭოს წევრმა ალფესი ხელაძემ გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი ქართველ ემიგრანტებთან და გამოემგზავრა საქართველოში.

# საბჭოთა კავშირში

## საცდელ მატარებლის დაბრუნება

სამთვიანი გამოცდის შემდეგ ამიერკავკასიის რკინის გზებიდან მოსკოვში დაბრუნდა საცდელი მატარებელი კაზანცევისა და კუნცე კნორრეს მუხრუჭებით.

ყოველგვარ გარემოებაში გამოცდამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა მუხრუჭი გაცილებით უმჯობესია დღემდის არსებულ მუხრუჭებზე.

## უცხო სიტყვების ახსნა

**ემიგრაცია**—გადასახლება, გარდახვეწა თავის ქვეყნიდან რაიმე მიზეზების გამო. ემიგრანტი—გადასახლებული, გარდახვეწილი.

**ამნისტია**—განთავისუფლება დევნისა და სასჯელისაგან. ამნისტიის უფლება აქვს ჩვეულებრივად უზენაეს ძალა-უფლებას. კერძოდ საბჭოთა კავშირში ეს უფლება ეკუთვნის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

**სესია**—რომელიმე დაწესებულების დროგამოშვებითი სხდომა; სასამართლო დაწესებულებებში სესია ეწოდება სასამართლოს შემადგენლობას, რომელიც დროგამოშვებ გაემგზავრება საქმეების გასარჩევად ადგილებში.

**ფაშიზმი**—ბურჟუაზიის შეიარაღებული საბრძოლო ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. ფაშიზმი დაიბადა იტალიაში და შემდეგ გადავიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

**კრიზისი** მთავრობის—მდგომარეობა, როცა ერთი მთავრობა უნდა გადადგეს და შეცვლილ იქნას ახალით; მძიმე გარდამავალი ხანა, უეცარი გარდატეხა.

**გომინდანი**—ჩინეთის ეროვნულ განმათავისუფლებელი პარტია.

---

1-ლ ქ. მ. დივიზიის **მეხუთე პარტ-კონფერენცია** გაიხსნება ქალ. ქუთაისში 1926 წლის 17 იანვარს საღამოს 5 საათზე, ქუთაისის აკადემიურ თეატრის შენობაში შემდეგი დღის წესრიგით:

1. მე-14-ტე ყრილობის შედეგები.
2. პოლიტ-სამმართველოს მოხსენება.
3. პოლიტ-განყოფილების მოხსენება.
4. დივ-პარტ. კომისიის მოხსენება.
5. პარტ-აღმშენებლობის საკითხი. თანამოხსენება ახ. ლ. კ. კ. მუშაობის შესახებ.
6. საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.
7. სამხედრო აღმშენებლობის ამოცანები.
8. არჩევნები დივ. პარტ. კომისიისა და დელეგატებისა საარმიო კონფერენციაზე.

ყოველგვარი დამატებითი ცნობებისათვის უნდა მიმართონ 1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილების საორგანიზაციო კომისიას.

1 ლ ქართულ მსროლელ დივიზიის
პოლიტ-განყოფილება.

# კომუნისტური პარტიის (ბ) მე-XIV ყრილობა

...მუშათა ახალი ძალები მოდიან უმთავრესად სოფლიდან. ეს არის ყოველმხრივ ახალგაზრდობა, რომელიც ჯერ კიდევ არ გადახარშულა ფაბრიკა-ქარხნის ქვაბში, რომელსაც არ გაუვლია რევოლიუციის ბრძმედში სამოქალაქო ომის დროს; ამ კადრისთვის უცნობია ბრძოლის სიძნელე და გამარჯვების ზეიმი. ეს ახალგაზრდა მუშა ჩვენ უნდა გარდავქმნათ და აღვზარდოთ.

**კავშირი სხვა და სხვა ქვეყნების მუშებთან.**

დასასრულ ტომსკი ამბობს: მსოფლიო კაპიტალი შეტევაზე გადადის. მუშა შიშობს თავის ბედისთვის. ის ეძებს ჩვენთან კავშირს და დახმარებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შევსძლებთ გაერთიანებას ევროპის ყველა ქვეყნების პროფკავშირებთან.

კავშირი ჩვენ უკვე გვაქვს და ძლიერიც. ჩვენი უახლოესი ამოცანაა დავამყაროთ ასეთი კავშირი აღმოსავლეთის პროფკავშირებთან და პირველ რიგში, იაპონიის პროფკავშირებთან.

კამათის შემდეგ ტომსკის თეზისები მიღებულ იქნა და გადაეცა კომისიას.

**ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების დელეგაცია**

ტომსკის მოხსენების შემდეგ რიკოვი აცხადებს, რომ ყრილობაზე მოვიდენ ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების დელეგაციები. ყრილობა მხურვალე ტაშით ხვდება დელეგაციებს. ლაპარაკობენ დელეგატები, რომლებიც გმობენ ლენინგრადის დელეგატების გამოსვლებს ყრილობაზე და აღუთქვამენ ცეკას ყოველმხრივ დახმარებას.

**კალინინის საპასუხო სიტყვა**

ლენინგრადის მუშების საპასუხოდ გამოვიდა ამხ. კალინინი. მან განაცხადა, რომ ლენინგრადის მუშები ჰგრძნობენ ლენინის სიმართლეს და არავის არ შეუძლია გადააცდინოს ისინი სწორ გზას.

**სალამი გერმანიის მუშებისაგან.**

**კლარა ცეტკინას გამოსვლა**

— მე მომაქვს თქვენთან მხურვალე სალამი გერმანიის ყველა კომუნისტებისაგან. და არა მარტო კომუნისტების, გერმანიის ქალაქების მუშებისა და მუშა ქალებიდანაც.

ყველგან დიდ კრებებზე, მოხუცი ქალები და კაცები, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ყმაწვილები და ბავშვები მეუბნებოდენ მე: „როცა შენ დაბრუნდე მოსკოვში, უთხარი მათ, რომ ჩვენ ვისწავლეთ მათი ცნობა, რომ ჩვენ ვისწავლეთ თვალყურის დევნება საბჭოთა რესპუბლიკაზე, რომ ჩვენ ვიცნობთ და ვსწავლობთ მათ გზაზე სიარულს“.

კლარა ცეტკინა ამთავრებს სიტყვას და გამოსთქვამს რწმენას, რომ ლენინის პარტია მთლიანი დარჩება.

## ახკომკავშირის შესახებ.

### ამხ. ბუხარინის მოხსენება.

**როგორია კომკავშირის შემადგენლობა.**

ამა წლის ოქტომბერში კომკავშირის რაოდენობა მნიშვნელოვან ციფრამდის ავიდა. ის უდრიდა 1.633.000 კაცს. კომკავშირის სოციალური შემადგენლობა შემდეგია: მუშა—[illegible],8 პროცენტი; მოჯამაგირეები—7,8 პროცენტი; გლეხობა—41,1 პროცენტი; დანარჩენი—11,3 პროცენტი. კომკავშირის გლეხთა შემადგენლობაში ღარიბები—20 პროცენტია, საშუალო შეძლების გლეხობა—20 პროცენტი. ანგარიშიდან კომკავშირის შემადგენლობის შესახებ, სადაც გლეხობა ერთი ნახევარია, ცხადია რომ საკითხი მუშათა კლასისა და გლეხობის შეფარდების შესახებ მწვავედ სდგას.

**დაბრკოლებანი კომკავშირის მუშაობაში.**

— ჩვენს პირობებში—ამბობს მომხსენებელი—არის წინააღმდეგობანი, რომლებიც გამოწვეულია მეურნეობის ზრდით. ახალგაზრდობა ამ წინააღმდეგობას (ე. ი. სიძნელეს) მწვავედ განიცდის.

მაგალითად სოფლად ვითარდება უმიწობა მოსახლეობის ზრდის გამო. ქალაქში—უმუშევრობა. ახალგაზრდობა უმაღლეს სასწავლებლებში ცუდათაა უზრუნველყოფილი.



ამხ. ბუხარინი

შეცვლილ უნდა იქნას მუშაობის ხერხი კომკავშირის შორის და გამოცხოველებულ უნდა იქნას ეს მუშაობა.

**ახალგაზრდობის მოთხოვნილებანი.**

ქალაქის ახალგაზრდობას სურს მიიღოს კარგი სამუშაო ხელფასი, უკეთესი განათლება.

სოფლის ახალგაზრდობა ცდილობს გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა და მიიღოს აუცილებელი ცოდნა მეურნეობის წარმოებისთვის უკეთეს საფუძვლებზე.

გარდა ამისა მუშა და გლეხ ახალგაზრდობას აქვს გართობისა და გონივრული დასვენების სურვილი.

ამ მისწრაფებათა თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ კომკავშირის მუშაობას. სოციალისტური აღზრდის საქმეში დაკავშირებულ უნდა იქნას კომუნისტური მოძრაობის საერთაშორისო საკითხები ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის საკითხებთან, ხოლო ეს უკანასკნელები—მასების მოთხოვნილებათა ზრდასთან.

**გაძლიერებულ უნდა იქნას კომკავშირზე ხელმძღვანელობა.**

— ეს ხელმძღვანელობა პარტიის მხრივ სუსტია—ამბობს მომხსენებელი. ამ ჟამად სწარმოებს ბრძოლა მუშათა კლასსა და ჩვენს ახალ ბურჟუაზიას შორის გლეხობაზე გავლენისათვის, ასეთივე ბრძოლა სწარმოებს ახალგაზრდობაზე გავლენისათვის. ჩვენი პარტია ვალდებულია პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების მიზნით აწარმოოს ეს ბრძოლა ახალგაზრდობაზე გავლენისთვის—ათავებს ბუხარინი.

დარბაზი მქუხარე ტაშით აცილებს ბუხარინს.

კამათის შემდეგ ყრილობამ საფუძვლად მიიღო ბუხარინის თეზისები.

**ცენტრალური კომიტეტის წევრების, კანდიდატების, სარევიზიო კომისიის და საკონტროლო კომისიის ამორჩევა.**

მეთოთხმეტე ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის წევრებად ამოირჩია შემდეგი ამხანაგები:

ანდრეევი, ანტიპოვი, ბადაევი, ანტოხინი, ბაუმანი, ბუბნოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ძერჟინსკი, დოგადოვი, ევდოკიმოვი, ჟუკოვი, ზელენსკი, ზინოვიევი, კაბაკოვი, კოგანოვიჩი, კალინინი, კამენევი, კვირინგი, კიროვი, კოლოტილოვი, კომაროვი, კასიორი, კოტოვი, კრასინი, კრჟანოვსკი, კუსიას, კულიკოვი, ლეპსე, ლომოვი, მანუილსკი, მედვედევი, მიკოიანი, მიხაილოვი, ორჯონიკიძე, პეტროვსკი, პიატაკოვი, რადჩენკო, რაკოვსკი, რუძუტაკი, რუმიანცევი, რუხიმოვიჩი, რიკოვი, სმილგა, სმირნოვი, სოკოლნიკოვი, სტალინი, სტეპანოვი, სკვარცოვი, სულიმოვი, ტოლოკონცევი, ტომსკი, ტროცკი, უგლანოვი, ტხ. ნოვი, ციურუპა, ჩიჩერინი, ჩუბარ, ჩუდოვი, შვერინკი, შმიდტი და შვარცი.

ცენტრალური კომიტეტის (ცეკას) წევრებად არჩეულ იქნა 43 კაცი.

სარევიზიო კომისიაში 7 კაცი. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში—163 კაცი.

# სამხედრო საქმე.

## საველე სამსახური.

**ბრძოლის ველზე თვალყურის დევნება.**

ბრძოლა რთული და საფრთხიანი მოქმედებაა. მცირედი დაუდევრობა და ან უყურადღებობა ბრძოლის მონაწილეთა მხრივ, თუნდაც წვრილმან რამეებში, იწვევს ზედმეტ ზარალს, თვით ბრძოლის გაჭიანურებას, ხოლო ხშირად საზარალო დაბოლოებას—დამარცხებას.

ბრძოლაში ჯარების ხელმძღვანელობა ეკუთვნის მეთაურსა და კომისარს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მეთაურის მოკვლის ან დაჭრის გამო ბრძოლებს ხელმძღვანელობენ უფრო მომზადებული და გაბედული წითელ არმიელები. მეთაური თვალყურს ადევნებს თვითეული წითელ არმიელის მუშაობას ბრძოლაში თვითონ პირადად ან მის განკარგულებაში მყოფ უმცროს მეთაურთა საშუალებით. ხოლო ეს მეთაურები თავის მხრივ უშუალოდ ადევნებენ თვალყურს თავისი ნაწილის მთელ მუშაობას.

უმცირესი ნაწილი (თავის შემადგენლობის მიხედვით) ათეულია. შეუძლია თუ არა ათეულის უფროსს ბრძოლის დროს თვალყური ადევნოს თვითეულ მსროლელსა და მეტყვიამფრქვევეს და იმავე დროს მოპირდაპირის მოქმედებას, მეზობელ ნაწილებს და ეჭიროს კავშირი თავის უფროსთან? არა, ათეულის უფროს არ შეუძლია ყველა ამის გაკეთება. ეს იქნება ნამდვილი პასუხი, თუ რომ ჩვენ გავითვალისწინებთ თანამედროვე ბრძოლის პირობებს. ცხადია, რომ მომავალ ომებში ყოველი ბრძოლა სასტიკი იქნება თავიანთ ტეხნიკის საშუალებით (აირები ჰაეროპლანები, არტილერია, ტანკა და სხვა).

ხოლო—რაკი ეს ასეა, თვითეული მეომარი უნდა იყოს მომზადებული და შეეძლოს დაეხმაროს თავის უახლოეს უფროსს საბრძოლო ამოცანის გადაჭრაში.

მეთაურზე დახმარების ერთ ერთი სახეთაგანი—ეს არის ბრძოლის ველისადმი თვალყურის დევნება. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული მებრძოლის მოვალეობაა თვალყური ადევნოს თავის გარშემო თავის უბანსა და მეზობლების უბნებს ხოლო თუ კი საშვალება აქვს, მტრის ზურგსაც და საერთოდ მთელ ბრძოლის ველს. ასეთ ამოცანას, რომელიც უნდა აასრულოს თვითეულ მეომარმა, დიდი მნიშვნელობა აქვს. ვსთქვათ, მეთაურმა ვერ შეამჩნია, რომ მტერმა უკვე დაიწყო მის უბანზე გადმორბენა და ჯგუფდება იერიშზე გადმოსავლელად და გრანატით ბრძოლისთვის. თუ ამ შემთხვევისთვის მეთაური ვერ მოემზადა სათანადოდ მტრის საწინააღმდეგოდ, ის უსათუოდ წააგებს ბრძოლას და დაღუპავს თავის ნაწილის მეომრებს.

ამ შემთხვევებში, თვითეულ მეომარს, რა ადგილიც არ უნდა ეჭიროს მას და რა მუშაობასაც არ ასრულებდეს, ევალება თვალყური ადევნოს ყველაფერს წინ და გვერდებზე და რასაც კი შეამჩნევს, უნდა აცნობოს თავის უახლოეს უფროსს, რომელიც თავის დროზე შესძლებს საჭირო ზომების მიღებას.

ასეთ მდგომარეობას, როცა მებრძოლი მის მიერ შემჩნეულ რამეებზე აცნობებს თავის მეთაურს, ხოლო ხშირად თვითონაც მიიღებს ამა თუ იმ ზომას (როგორც მაგალითად: [illegible]ვრის მოულოდნელად გამოჩენილ მეტყვიამფრქვევეს, საკავშიროელს, ან ვაზნების მომზიდველს, და სხვა), სამხედრო ენაზე ეწოდება ბრძოლის ველისადმი თვალყურის დევნება.

ი. ბ:

# ემზადეთ მომავალ სადივიზიო პარტკონფერენციებისათვის.

ახლო მომავალში ჩატარებული იქნება დივიზიის მასშტაბში პარტკონფერენციები, რაც მოგვცემს ჩვენ საშვალებას ერთის მხრივ გავუკეთოთ ჯამი ჩატარებულ მუშაობას და აღვნიშნოთ მიღწევები, ხოლო მეორეს მხრივ დავისახოთ ჩვენი პარტიული მუშაობის მორიგი ამოცანები.

ყოველივე ეს მოითხოვს რათა ჩვენმა პარტორგანიზაციებმა, უმთავრესად ასეულის კომუჯრედებმა და პარტიის თვითეულ წევრმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა იმ წინასწარ მუშაობაში, რომელიც უნდა ჩატარდეს პარტკონფერენციის წინ.

**[illegible]ასულ პარტკონფერენციის დადგენილებათა განხილვა.**

როგორც ვიცით ჩვენ პარტორგანიზაციის, დივიზიის ფარგლებში, უმაღლეს ორგანოთ ითვლება დივიზიის პარტიული კონფერენცია, რომლის დადგენილებების შესწავლა და ცხოვრებაში გატარება სავალდებულოა ამ ორგანიზაციის თვითეულ წევრთათვის. ამის გამო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რათა ამ მორიგ პარტკონფერენციის წინ ჩვენ ძირითად უჯრედებში განხილულ იქნეს დივიზიის უკანასკნელ მეოთხე პარტკონფერენციის რეზოლიუციები. ეს მუშაობა მოგვცემს ჩვენ საშვალებას შევამოწმოთ ის, თუ რამდენად ჩვენი ორგანიზაცია თავის ყოველდღიურ მუშაობაში უწევდა ამ რეზოლიუციებს ანგარიშს და ატარებდა მათ ცხოვრებაში. ამავე დროს მივიღოთ მხედველობაში, რომ 1903 წ. პარტამხანაგთათვის, რომელნიც იყვნენ გაწვეული გ. წ. შემოდგომაზე ჩვენი დივიზიის პარტკონფერენციის დადგენილებანი სრულიად ახალი საქმეა მათთვის, რის გამო ახალწვეულ პარტამხანაგებმა მეტის ყურადღებით უნდა შეისწავლონ ეს მასალა, რათა თვითეულ მათგანის მე-5 პარტკონფერენციაზე დელეგატათ არჩევის შემთხვევაში დაუხვდნენ ამას საკმაოდ მომზადებული.

**პარტკონფერენციის დღის წესრიგში დასმული საკითხების დამუშავება.**

მოსამზადებელი მუშაობის პროცესში ჩვენმა პარტორგანიზაციამ უნდა იმსჯელოს და გამოსთქვას თავისი შეხედულობა ყველა იმ საკითხების გარშემო, რომელიც დასმულია პარტკონფერენციის დღის წესრიგში. ამ საკითხების შესახებ თავის პრაქტიკული მოსაზრებანი წამოყენებული უნდა იქნეს პარტიულ კრებებზე ყოველი აქტიური პარტამხანაგის მიერ, რითაც სრულიად იქნება განხორციელებული შინაპარტიული დემოკრატია. მხოლოდ მთელ პარტიულ მასის ჩაბმით პარტკონფერენციის დღის წესრიგში მდგომ საკითხების დამუშავებაში იქნება უზრუნველყოფილი ამ საკითხების საბოლოოდ სწორი გადაჭრა კონფერენციაზე.

ძირითად უჯრედებს შეუძლიათ არა თუ იმსჯელონ კონფერენციაზე დასმულ საკითხების გარშემო, არამედ თავის მხრივაც წამოაყენონ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გარჩევას კონფერენცია დაინახავს საჭიროდ.

**კონფერენცია—ჩვენი პარტორგანიზაციის გამოცდებია.**

რამდენად სწორია აღებული ხაზი პარტმუშაობაში, როგორ ტარდება ლოზუნგი „პირი სოფლისაკენ“, როგორ არის დაყენებული მუშაობა უპარტიო მასებთა შორის, ყოველივე ეს ნათლად გამოირკვევა პარტკონფერენციაზე. ამისათვის ორგანიზაციის ძირითად უჯრედებმა სათანადო მასალები უნდა დაამზადონ და წარადგინონ კონფერენციის წინაშე სექციებში დასამუშავებლად.

ეჭვ გარეშეა, რომ ჩვენ ბევრი მიღწევები გვაქვს პარტმუშაობის ყველა დარგში. საჭიროა ასეთ მიღწევების გამომჟღავნება და ხაზგასმით აღნიშვნა. ამ მიზნით თვითეულ ნაწილის მასშტაბში შეიძლება სათანადო სქემების და დიაგრამების შედგენა, რომელნიც ახასიათებდნენ მაგალითად ამა თუ იმ პარტორგანიზაციის ზრდას განსაზღვრულ პერიოდში, აგრეთვე ლტოლვას პარტიაში უპარტიოთა შორის, პარტორგანიზაციის შემადგენლობის ხარისხოვნად ამაღლება (ე. ი. მუშების რიცხვის ზრდა) და სხვა. თვალსაჩინოდ შეიძლება იქნეს ნაჩვენები აგრეთვე ორგანიზაციაში პარტდისციპლინის განმტკიცება, თუ ამას აქვს ადგილი.

გარდა მიღწევებისა ჩვენ საკმაოდ ნაკლიც გვაქვს, რომლის მიზეზები აგრეთვე უნდა იქნეს წინასწარ შესწავლილი, რათა ამით მიეცეს პარტკონფერენციას საშვალებანი ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

**ტერდივიზიაში.**

პარტკონფერენციის ჩატარებაში მიიღებენ მონაწილეობას არა მარტო ძირეულ პარტშემადგენლობა, არამედ ცვალებადი შემადგენლობის პარტამხანაგებიც, რაც ავალებს ტერნაწილების პარტორგანიზაციებს პარტკონფერენციისათვის სამზადის მუშაობაში ჩააბან ცვალებადი პარტშემადგენლობაც. ტერნაწილების თავისებური პირობები მოითხოვენ რათა პარტკონფერენციის მუშაობაში მიზიდულ იქნენ ადგილობრივ სამოქალაქო პარტორგანიზაციების წარმომადგენელნი, რითაც ერთის მხრივ უკანასკნელნი ახლოს გაეცნობიან [illegible] აღმშენებლობის საჭირბოროტო საკითხებს და მეორეს მხრივ კი თვით კონფერენციის მუშაობის ნაყოფიერებასაც დიდათ შეუწყობენ ხელს.

ი. რუდოვსკი.

წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

ზეიმოლ სხდომა და წარმოდგენა | მოხსენება 1905 წ. რევოლიუციაზე

ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

3-მე ლეგიონი.

# როგორ უნდა ტარდებოდეს მთავრობის დადგენილებანი წითელ არმიელთა და მათი ოჯახების ინტერესების დაცვის საქმეში.

## დადგენილება

### ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოსი

ამიერ კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და აკსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახების შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ კანონთა კოდექსის 44 მუხლის [განვითარებად დამტკიცებულ იქნას ქვემომოყვანილი ინსტრუქცია წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
**მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ ფედერატიულ რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
**მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი—სასახლე.
1925 წლის 14 დეკემბერი.

## ინსტრუქცია

წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უფლებრივ—ქონებრივი მდგომარეობის დაცვის განხორციელების შესახებ ადმინისტრატიული და სასამართლოს წესით, შესაბამად კანონთა კოდექსისა საბჭოთა კავშირის მუშურ გლეხურ წითელი არმიისა და მუშურ-გლეხური წითელი ფლოტის სამხედრო მსახურთა შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ.

(კანონთა კრებული 1924 წ. № 21, მუხ. 197—198).

## თავი პირველი.

### საერთო დებულებები.

1. დაცვა ყველა კანონებისა, რომლებიც იფარავენ წითელ არმიელთა და მათი ოჯახების ინტერესებს, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უპირველესი მოვალეობაა.

ყველა სახელმწიფოებრივ ორგანოებს ევალება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გარჩევის დროს იმ საქმეებს, რომლებშიაც შებღალულია წითელ არმიელის ან მისი ოჯახის ინტერესები და განსაკუთრებით მხედველობაში უნდა მიიღონ ის გარემოება, რომ წითელ არმიელის სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, მისი ოჯახზე მოშორების გამო ეს ინტერესები შეიძლება ვერ იქნენ სათანადოდ დაცული.

2. „წითელ არმიელად“ იგულისხმება ყველა ის პირები, რომლებიც იმყოფებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების, სამმართველოებისა და დაწესებულებების ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სახელდობრ: ა) რიგის შემადგენლობა, ბ) უფროსთა შემადგენლობა (უმცროსი, საშუალო, უფროსი და უმაღლესი), რომელიც იყოფა: მეთაურთა (მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურები), ადმინისტრატიულ, პოლიტიკურ (მეთაურ-პოლიტიკური, პოლიტსაგანმანათლებლო და იურიდიულ-პოლიტიკურ—მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტმომუშავენი), საექიმო და სავეტერინარიო შემადგენლობად; ამას გარდა ზემოაღნიშნულ კატეგორიას ეკუთვნიან აგრეთვე რეზერვში მყოფი პირები და შტატის ზევით დატოვებულნი.

3. უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა იმ საფუძვლებზე, რომლებიც დაწესებულია ქვემოდ წითელ არმიელთა და მათი ოჯახებისთვის, სავსებით ვრცელდება „წითელ ფლოტელებზე“, — რომლებიც იმავე წესით არიან დაყოფილი როგორც წითელ არმიელები (რიგის, უფროსთა შემადგენლობად და სხვა), სოლქო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის, რესპუბლიკების საგანგებო კომისიების და მხლებელთა რაზმის პირად შემადგენლობისა და მათ ოჯახებზე.

4. უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა იმავე საფუძვლებზე ვრცელდება მდედრობითი სქესის პირებზედაც, რომლებიც მათი თანამდებობისდა მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს მე-2 მუხლში აღნიშნულ ცნება „წითელ არმიელს“; იგივე უფლებები ვრცელდება ამავე მუხლში (4) აღნიშნულ პირთა ოჯახებზედაც.

5. ასეთვე დაცვით სარგებლობენ 2—4 მუხლებში აღნიშნული პირები და მათი ოჯახები ნამდვილ სამხედრო სამსახურიდან სათადარიგოდ ან უვადო შვებულებაში დათხოვის დღიდან ერთი წლის განმავლობაში, რომელიც საჭირო მათზე მინიჭებულ შეღავათების განსახორციელებლად (მ. გ. 90 მუხ. თანახმად პროტეზების ან საექიმო დახმარების მიღების დროს სამოქალაქო დაწესებულებებში).

6. კოდექსისა და ამა ინსტრუქციის მოქმედება არ ვრცელდება სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ნებით დაქირავებულ მოსამსახურეებსა და მათ ოჯახებზე და აგრეთვე მომსახურე გუნდების ცვალებად შემადგენლობაზე.

7. უბნის, თემის და დაირაიონმასკომებს *) (ხოლო სათანადო შემთხვევებში ქალაქის საბჭოებსაც) ევალებათ დაიცვან წითელარმიელთა და მათი ოჯახების უფლებრივი მდგომარეობა შემდეგ შემთხვევებში: ა) როცა წითელარმიელთა და მათი ოჯახების ინტერესს არღვევს სახელმწიფო დაწესებულება, ცალკე თანამდებობის პირი ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია; ბ) როცა ზემო აღნიშნულ უფლებებსა და ინტერესებს არღვევენ სხვა მოქალაქეები; გ) როცა ადგილი აქვს შეხლას წითელარმიელის ოჯახის შემადგენლობაში და ეს შეხლა ზიანს უქადის სამსახურში მყოფ წითელარმიელის ინტერესებს.

შენიშვნა: უბნის, თემის და დაირაიონმასკომები ახორციელებენ წითელარმიელთა და მათი ოჯახების ქონებრივსა და უფლებრივ მდგომარეობის დაცვას სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების ხელმძღვანელობისა და კონტროლ ქვეშ; იმ შემთხვევებში, როცა უბნის, თემის და დაირაიონმასკომები რაიმე მიზეზების გამო აგვიანებენ საქმის გადაჭრას ან არ ძალუძთ მას სათანადო გადაწყვეტილებასა და მიმართულებას, შეიძლება საქმის გადატანა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში.

8. უბნის, თემის და დაირაიონმასკომები უშუალოდ ახორციელებენ წითელარმიელთა და მათი ოჯახების უფლებრივ და ქონებრივ მდგომარეობის დაცვას, როცა საქმე უნდა გაირჩეს ადმინისტრატიული წესით; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საქმე მოითხოვს გადაჭრას სასამართლოს წესით, გადასცემენ საქმეს მიწის კომისიას ან სასამართლოს და ასრულებენ ყველა საჭირო მოქმედებას: ა) თავის არსებულ ორგანოების საშუალებით, ბ) ამ საქმეში მათ რწმუნებულ თანამდებობის პირთა საშუალებით, გ) კოლეგიის პრეზიდიუმის ან სათანადო კონსულტაციის მიერ დანიშნულ დამცველთა კოლეგიის წევრების საშუალებით და დ) წითელარმიელთა თხოვნით სასამართლოს მიერ დანიშნულ წითელარმიელთა ოფიციალურ წარმომადგენლების საშუალებით.

9. იმ შემთხვევაში, თუ რომ საჭირო იქნება ამა თუ იმ მოქმედების შესრულება, რომელმაც უნდა განსაზღვროს წითელარმიელის უფლება და მოვალეობა, ამისთვის ოფიციალურად რწმუნებულ პირს (პ. „დ“ მუხ. 8), და აგრეთვე წითელარმიელის ან მისი ოჯახის მიერ არჩეულ პირს უნდა ჰქონდეს თან წერილობითი მინდობილობა; ამ ყოველ შემთხვევაში საკმარისია შემოწმებულ იქნას მიმნდობ წითელარმიელის ხელმოწერა სადერბო ბეჭდის დასმით იმ ნაწილის მიერ, სადაც ის მსახურობს. სამხედრო ნაწილის მიერ შემოწმებული მინდობილობა ეთანაბრება ნოტარიუსის მიერ შემოწმებულ მინდობილობას.

*) დაირაიონმასკომი, სომხურად—თემის აღმასკომი.

## თავი მეორე.

### წითელარმიელთა და მათი ოჯახების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის დაცვა ადმინისტრატიული წესით.

10. თუ რომ შემოვა წითელარმიელთა ან მათი ოჯახების საჩივარი ან განცხადება, რომ დარღვეულ იქნა მათი უფლებები, კერძოდ, არ გაავრცელეს მათზე კანონით დაწესებული უფლებები და უპირატესობანი, ან დაარღვიეს კანონი მათი ქონებრივი მდგომარების შესახებ, უბნის, თემის და დაირაიონმასკომები ვალდებული არიან განიხილონ საჩივარი (განცხადება) და გადასცენ ის სათანადო ორგანოს სამი დღის ვადაში, ან და გადასჭრან ის თავიანთ კომპეტენციის ფარგლებში შვიდი დღის ვადაში.

11. წითელარმიელთა და მათი ოჯახების საჩივრების (განცხადებების) გარჩევის დროს უბნის, თემის და დაირაიონმასკომები, საქმის უფრო სწორად და სამართლიანად გადაჭრის გულისთვის, ვალდებული არიან არ დაკმაყოფილდენ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებითა და მასალებით და ხელი შეუწყონ საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებათა გამოკვლევას; მოითხოვონ აუცილებელი ცნობები და გაუწიონ მთხოვნელ წითელარმიელებსა და მათ ოჯახებს აქტიური დახმარება მათი უფლებებისა და კანონიერ ინტერესების დაცვაში იმისათვის, რათა მთხოვნელთა იურიდიული გამოუცდელობა, წერა-კითხვის სუსტი ცოდნა და სხვა მსგავსი გარემოება არ იქნას გამოყენებული მათდა საზიანოდ.

12. უბნის, თემის და დაირაიონმასკომები ვალდებული არიან საქმის გადაჭრის შემდეგ აცნობონ ამის შესახებ განცხადების შემომტანს, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში, როცა განმცხადებელს წარმოადგენს არა თვითონ წითელარმიელი, უკანასკნელსაც.

13. საჩივრის (განცხადების) შემოსვლის გარეშეც უბნის, თემის და დაირაიონმასკომები ვალდებული არიან თავისი ინიციატივით გაუწიონ მფარველობა წითელარმიელებსა და მათ ოჯახებს ყველა შემთხვევებში, რომლებიც კი არიან გათვალისწინებული ამა ინსტრუქციის მე-7 მუხლში.

14. საკითხების სისწორით და სამართლიანად მოგვარების მიზნით, უბნის, თემის და დაირაიონმასკომები მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელის ოჯახში წამოჭრილ სხვა და სხვა ინტერესთა წინააღმდეგობათა გადაჭრაში, რომლებიც (წინააღმდეგობანი) ზიანს უქადიან სამსახურში მყოფ წითელ არმიელის ინტერესებს.

ამ მონაწილეობის დროს უბნის, თემის და დაირაიონმასკომები უწევენ რა ანგარიშს წითელარ-

...დაყენებული, წი- | ნაც ჯერ-არს. | განიზატორი. | სამხკორი კენჭაძე. | წილეობას და შეთვისებაც კარ- | ა. მიქელაძე.

## ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ (Ბ) ᲛᲔ-XIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

...სუშითა ახალი ძალები მოდიან | გაციები. ყრილობა მხურვალე | გობას (ე. ი. სიძნელეს), მწვა- | რტიის მხრივ სუსტია—ამბობს
...მთავრესად სოფლიდან. ეს | ტაშით ხვდება დელეგაციებს. | ვედ განიცდის. | მომხსენებელი. ამ ჟამად სწა-

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ.
## ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

ბრძოლის ველზე თვალყუ- | უფროსს საბრძოლო ამო...

მიელის ოჯახის ამათუიმ წევრის მოთხოვნილებებს, ღებულობენ ყოველ გვარ ზომებს სადაო საკითხის შეთანხმებით გადაჭრაში, სადაც ხელმძღვანელობენ არსებული კანონებით, რომლებიც აწესრიგებენ გაერთიანებულ მშრომელთა ოჯახის წევრების ურთიერთ დამოკიდებულებას.

თუ სადაო საკითხს შეთანხმებით ვერ დაამთავრებენ, უბნის თემის და დაირაღმასკომები უჩვენებენ მოდავე მხარეებს კანონიერ გზებს წამოჭრილ უთანხმოებათა გადასაჭრელად.

15. უბნის, თემის და დაირაღმასკომები ვალდებული არიან განსაკუთრებით იზრუნონ იმაზე, რათა წითელ არმიელთა ოჯახების მცირეწლოვან წევრებს, არსებულ საშუალებათა ფარგლებში, თავის დროზე მიეცეთ კანონით დაწესებული შეღავათები, განსაკუთრებით სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

16. აუცილებელ შემთხვევებში უბნის აღმასკომები ვალდებული არიან: ა) მიიღონ ზომები, რათა წითელ არმიელთა ოჯახების მცირე წლოვან წევრებს დაენიშნოს მზრუნველი და თვალყური ადევნონ მზრუნველის მიერ ვალდებულების ასრულებას; ბ) გაასაჩივრონ, განაცხადონ და მიიღონ ცნობები ყოველმხრიდან, საიდანაც ეს საჭირო იქნება; გ) დაიცვან წითელ არმიელების ინტერესები ამხანაგობათა (არტელი) და კოოპერატივების საერთო კრებაზე, რომელთა წევრადაც ისინი ითვლებიან; დ) გამოიმუშაონ ხელშეკრულებების შეთანხმებათა პირობები, მოითხოვონ ასეთების ასრულება და სხვა.

17. იმ მიზნით, რათა წითელ არმიელთა ოჯახებისათვის დაცულ იქნას სავსებით კანონის მიერ მათზე მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი, მაზრისა და მათი სათანადო აღმასკომები ვალდებული არიან: ა) მიიღონ ზომები რათა მათ უწყების ქვეშ მყოფი განყოფილებები უბნის, თემის, დაირაღსკომების, სოფლის საბჭოებისა და აგრეთვე მათი თანამდებობის პირები გაცნობილ იქნან შეღავათების კოდექსებს და მის დამატებად და განვითარებად გამოცემულ დაკანონებათა და განკარგულებებს აღნიშნულ ორგანოებსა და თანამდებობის პირებზე ინსტრუქციების მიცემის გზით; ბ) მიიღონ ზომები, რათა ფართედ იქნან გაცნობილი წითელ არმიელთა ოჯახები ყველა შეღავათებს, რომლებსაც ანიჭებს მათ კანონი, და ამ შეღავათების დაცვისა და განხორციელების წესს; კერძოდ, თუ როგორ უნდა მიმართონ უბნის, თემის და დაირაღმასკომებს წითელ არმიელთა და მათი ოჯახების ინტერესების დაცვის საკითხებში, როგორც დაწესებულია ამ ინსტრუქციით; გ) მოაწყონ წითელ არმიელთა ოჯახების აღრიცხვა უბნის, თემის და დაირაღმასკომისა და სოფლის საბჭოების საშუალებით; დ) მიიღონ ზომები, რათა მოწყობილ იქნას იურიდიული დახმარება წითელ არმიელთა ოჯახებისთვის პირველ რიგში და უფასოდ.

## ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ.

**წითელ არმიელთა და მათი ოჯახების უფლებრივი და ქონებრივი ინტერესების [დაცვა—სასამართლოს წესით.**

18. უბნის თემის და დაირაღმასკომებ-, როგორც კი მიიღებენ ცნობებს, რომ დარღვეულ ან არსებითად შელახული იქნა წითელარმიელთა და მათი ოჯახების ინტერესები, მაგალითად: ა) უკიდურეს გაჭირვების გამო დადებულ იქნა საზარალო პირობები კარმიდამოს ქონებით სარგებლობაზე; ბ) უკანონოთ შევიწროებულ იქნა ისინი მიწით სარგებლობაში; გ) დარღვეულ იქნა მათი უფლება სადგომ მოედნით სარგებლობაში; დ) წაართვეს ცოლშვილის შესანახავი საშუალებანი; ე) წაართვეს ან გაუყიდეს ქონება, რომლის აწერის ან დაკავების უფლება არ აქვთ; ვ) უკანონოდ გამოუყვეს ან გაჰყვეს ოჯახში ქონება; ზ) მოიტაცეს ან მიითვისეს წითელარმიელის ან მისი ოჯახის კუთვნილი ქონება; თ) უჩივლეს მათ ან დაადვეს ჯარიმა და სხვა, ყველა ასეთ შემთხვევებში ვალდებული არიან, ვინმესაგან თხოვნის ან განცხადების დაუცდელად, მიიღონ სათანადო ზომები მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად.

19. ამ მიზნით უბნის, თემის და დაირაღმასკომებს, მათ რწმუნებულ პირთა საშუალებით შეუძლიათ; ა) აღძრან ყოველგვარი საჩივარი და შევიდენ უკვე წარმოებულ სასამართლო საქმეებში ამიერკავკასიის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების კოდექსის 172 მუხ. სამოქ. პროც. წესით; ბ) აცნობონ საპროკურორო მეთვალყურეობის პირთ თხოვნები საჩივრის აღძვრაზე, საქმეში შესვლაზე ან კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებათა ან განაჩენთა გასაჩივრების, ან მათ წინააღმდეგ პროტესტის განცხადებაზე; გ) მოითხოვონ რათა შეჩერებულ იქნას საქმე იმავე კოდექსის სამოქალაქო პროც. 114 მუხლის „ბ" პუნქტის წესით; დ) დაესწრონ გაყოფის წარმოების, სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასრულების დროს და სხვა.

20. შეღავათების კოდექსის 44 მუხლის წესით საქმის წარმოების დროს უბნის, თემის, დაირაღმასკომებისა და თანამდებობის პირები სარგებლობენ პროცესში მხარეს ყველა უფლებებით, სულერთია მონაწილეობდენ თუნდ არა პროცესში უშუალოდ დაინტერესებული პირები.

21, თუ რომ წითელარმიელს ან მის ოჯახს სოფლად მიესაჯა რაიმეს გადახდა ან ჯარიმა, აღმასრულებელი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ სოფლის საბჭოს, რომლის შეხედულებაზეც დამოკიდებულია სთხოვოს სასამართლოს შეაჩეროს ასრულება აღნიშნულ გადაწყვეტილებისა, თანახმად ამიერკავკასიის საბჭ. რესპუბლიკებში შემავალ რესპუბლიკათა სამოქ. პროცესის კოდექსის 114 მუხლისა, ან და ოჯახში წითელ არმიელის არ ყოფნის გამო, რომელსაც არ აქვს საშუალება დაიცვას პირადად თავის ოჯახის ინტერესები, თანახმად ამ კოდექსების 259 მუხლისა, სთხოვოს სასამართლოს დანიშნოს ოფიციალური წარდგენა ასრულების ადგილზე, ან და მიიღოს მონაწილეობა თავისი წარმომადგენლის საშუალებით ჯარიმის წარმოებაში ვალდებულის მხარეზე.

ქალაქსა და ქალაქის ტიპის ადგილებში იგივე უფლებები ეკუთვნიან ქალაქის საბჭოებს.

22. უბნის, თემის და დაირაღმასკომებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მიწის კომისიებში სადაო საკითხების გარჩევას წითელ არმიელთა მეურნეობების შრომის იჯარისა და სამიწადმოქმედო მეურნეობათა გაყოფის შესახებ, რომლების (მეურნეობების) წევრებათაც ითვლებიან წითელარმიელები.

23. მიწის კომისიებში გასარჩევ საქმეებისთვის, წითელ არმიელებს, აგრეთვე ოჯახურ შრომაში გაერთიანებულ პირთ, რომლებიც შეერთებულად ეწევიან რამოდენიმე ოჯახის მეურნეობას, რომელთა შემადგენლობაშიც ითვლებიან წითელ არმიელები, სასამართლოს ხარჯები, განსაკუთრებული საკანცელარიო გადასახადი და სხვა, მათ რიცხვში სადერბო, არ გადახდებათ.

## ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

**წითელარმიელებისა და მათი ოჯახების მიერ საჩივრებისა და განცხადებების მიცემის წესი**

24. წითელარმიელები თავიანთ განცხადებებსა და საჩივრებს საერთო წესით აგზავნიან წითელარმიელთა წერილების ბიუროს სათანადო რწმუნებულთა საშუალებით.

25. წითელარმიელთა ოჯახები თავიანთ განცხადებებსა და საჩივრებს საერთო წესით აგზავნიან გლეხთა ურთიერთდახმარების საზოგადოებების სათანადო კომიტეტების საშუალებით.

26. წითელარმიელებსა და მათ ოჯახებს შეუძლიათ გააგზავნონ საჩივარი და განცხადებები სხვა გზითაც, როგორიც მათ უფრო ეადვილებათ.

27. საჩივრები და შუამდგომლობანი, რომელთა შეტანისთვისაც კანონით შემოღებულია სპეციალური წესი და კერძოდ, განსაზღვრული ვადა (როგორიცაა გადასახადებზე და სხვა), გაიგზავნებიან ამ წესებისა და ვადების აუცილებელი დაცვით.

## ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

**პროკურატურის მეთვალყურეობის შესახებ წითელარმიელთა და მათი ოჯახების უფლებათა დაცვისადმი.**

28. ამა ინსტრუქციის მეშვიდე მუხლის წესების შესაბამად პროკურატურას ევალება თვალყური ადევნოს თანამდებობის პირთა ან დაწესებულებების, საზოგადოებრივ ორგანიზაციების ან კერძო პირთა მხრივ კანონიერ მოქმედებას წითელარმიელთა და მათი ოჯახების მიმართ.

29. პროკურატურა ვალდებულია განუწყვეტლივ ადევნოს თვალყური წითელარმიელთა წერილების ბიუროს რწმუნებულთა მუშაობას, რომლებიც (რწმუნებულები) ინიშნებიან იმ წესით, როგორიც ნაჩვენებია ამიერკავკასიის ცაკის ცირკულიარში 1924 წ. 3 მარტიდან.

30. აღნიშნული რწმუნებულები ვალდებული არიან დაუყონებლივ აცნობონ საპროკურორო მეთვალყურეობის სათანადო პირებს ყოველი შემთხვევა, როცა რწმუნებულების მიერ აღმასკომებში გადაცემული საქმეების გარჩევა მეტად გვიანდება და ჭიანურდება და როცა შეატყობენ ისინი, რომ ამ საქმის გარჩევასთან დაკავშირებით არსებული კანონები ირღვევა.

31. წითელარმიელთა ოჯახებიდან შემოსული ყველა საჩივრები და განცხადებები პროკურატურმა უნდა გაარჩიოს და გამოიძიოს პირველ რიგში და აუცილებლად უნდა შეადგინოს საბუთიანი დადგენილება ასეთი საჩივრების ან განცხადებების უმოძრაოდ დატოვების შესახებ.

32. პროკურატურას, წითელ არმიელთა და მათი ოჯახების ინტერესების დაცვისთვის, ევალება რაც შეიძლება ფართედ ისარგებლოს იმ უფლებებით, რომლებსაც ანიჭებს მას ამიერკავკასიის სოც. საბჭ. ფედერატიულ რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკათა კოდექსების სამოქალაქო პროც. მე-2 და 254 მუხლები.

## ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ

**თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ წითელარმიელთა უფლებების დასაცავად ზომების მიუღებლობისთვის.**

33. თანამდებობის პირები, რომლებიც არ მიიღებენ ზომებს წითელარმიელთა და მათი ოჯახების სამართლიან ინტერესების დაცვისთვის, მიიცემიან პასუხისგებაში თანახმად ამიერკავკასიის რესპუბლიკების კავშირში შემავალ რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებისა, რომლებიც შეეფარდებიან რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 107-108 მუხლებს.

...ითვლება დივიზიის პარტიუ- | დგენილებანი სრულიად ახალი | პარტკონფერენციის დღის წეს- | ებში დასამუშავებლად. | რათა ამით მიეცეს პარტკონ- | ი. რუდოვსკი.

# წითელი ყაზარმის ცხოვრება და მუშაობა

## ზეიმო სხდომა და წარმოდგენა

9 დეკემბერს საღამოს 7 საათზე მე-5-თე ლეგიონის კლუბში გაიხსნა საზეიმო სხდომა 1905 წ. რევოლიუციის 20 წლისთვის აღსანიშნავათ. თავმჯდომარემ ამხანაგ სხვიტარიძემ სთხოვა ამხანაგებს რათა ფეხზე ადგომით ეცათ პატივი 1905 წელში დაღუპულ ამხანაგებისათვის, რომლებმაც თავი შესწირეს მშრომელ ხალხის თავისუფლების საქმეს. მუსიკამ დაუკრა „ინტერნაციონალი," რომლის ხმაზედაც ყველა ამხანაგები ჩაფიქრდა 1905 წ. რევოლიუციის დაღუპულ ამხანაგების მოგონებით. 1905 წ. ამბების აღსანიშნავად მოხსენებით გამოვიდა ამხ. ... კვარ...ველიძე, რომელმაც ... მუშათა კლასისა და ... მდგომარეობა, რევოლიუციონერების თავგანწირული ბრძოლა მეფის მთავრობის წინააღმდეგ და მათი წამება რეაქციონერების მიერ.

ამის შემდეგ კრებამ სთხოვა კრებაზე დამსწრე ამხანაგებს, რომლებსაც ახსოვდათ მაშინდელი ამბავი, გამოსულიყვნენ მოგონებებით.

პირველად გამოვიდა და წარმოსთქვა საინტერესო სიტყვა ამხ. ახვლედიანმა. ამის შემდეგ რამოდენიმე საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა შტაბის უფროსმა ამხანაგ გოშხოთელიამ, რომლის სამაგალითო სიტყვებმა მთელი სხდომის ყურადღება მიიქცია.

სიტყვების გათავების შემდეგ საზეიმო სხდომა დასრულდა და შემდეგ გაიმართა დღის შესაფერი წარმოდგენა „პირველი ზარი," რამაც დიდი კმაყოფილება გამოიწვია წითელ არმიელებში.

სამხკორი გ. კუპრაშვილი.

## საუბარი დისციპლინაზე.

**სამხედრო სკოლის უმწყობრო გუნდი.**

სამშაბათს მეთაურთა სკოლის უმწყობრო გუნდში, გუნდის უფროსმა ჩაატარა საუბარი სამხედრო დისციპლინის შესახებ. პირველად ამხანაგი შეეხო თუ როგორ დამოკიდებულებაში უნდა ვიყოთ ერთმანეთთან არმიელები და როგორ უნდა ვუყურებდეთ ამხანაგურ დისციპლინას. შემდეგ ამხანაგმა ვრცლად განმარტა წესდების ის მუხლი, რომელშიდაც გათვალისწინებულია თუ როგორი სასჯელი მოელის წითელ არმიელს ბრძანების აუსრულებლობისათვის და სხვა. საუბარმა საერთოდ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე და სთხოვეს გუნდის უფროსს ხშირად გაგვიმართოს საუბრები.

წ. არმ. ა. კვიკვიძე.

## დრამწრე გამოცოცხლდა.

**მე 3 ლეგიონი.**

დღემდე ლეგიონს არ ჰქონია შესაფერი ბინა, რომ დრამწრეს ეწარმოებია იქ საჭირო მუშაობა. ამ გარემოებას დიდი ყურადღება მიექცა თავიდანვე და ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული, ლეგიონის კლუბის მოსაწყობათ.

მოწყობილი იქნა საკმაოდ მოზრდილი დარბაზი, რომელიც იტევს თითქმის 600 კაცამდე. ამის შემდეგ დრამ წრის მუშაობას უფრო მასიური ხასიათი მიეცა. შემოღებული იქნა ლეგიონის მმართველობის მიერ შეჯიბრი საღამოების გამართვა. შეჯიბრი იმართება ათასეულებსა და ასეულებს შორის. პირველად შეჯიბრი მოხდა ლეგიონის სამივე ათასეულს შორის; პირველი ადგილი დაიკავა მესამე ათასეულმა. სხვა ასეულებს შორის შეჯიბრი გაიმართება ამ ახლო ხანში.

დრამწრის მუშაობამ ამნაირად, ძლიერ გამოაცოცხლა ლეგიონი.

სამხკორი კ. ჭკადუა.

## მოხსენება 1905 წ. რევოლიუციაზე

**1-ლი მესანგრე და მე-2 საკავშირო ასეულები.**

ამ რამოდენიმე დღის უკან შესდგა ასეულების შეერთებული კომუჯრედების ღია კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა 1905 წ. რევოლიუციაზე ამხ. ოჩიგავა. ამხანაგმა გააცნო დამსწრეებს რუსეთის იმპერიის მაშინდელი მდგომარეობა, გლეხებისა და მუშების აუტანელი მდგომარეობა და მემამულეების ნებივრობა. ამხ. დაწვრილებით შეეხო აგრეთვე რუსეთ-იაპონიის ომს, მის მიზეზებს და შედეგებს, რომლებმაც ნიადაგი მოუმზადა 1905 წ. რევოლიუციას.

მუშების გაფიცვები, სისხლიანი კვირა, 9 იანვარი და პროვოკატორ გაპონის როლი მასში.

ამხანაგმა ვრცლად გაგვაცნო აგრეთვე აღნიშნული მოძრაობა საქართველოში და განსაკუთრებით შეჩერდა გურიის ამბებზე.

საერთოდ მოხსენებაში მრავალი სტატისტიკური ცნობები იქნა მოყვანილი მოძრაობის შესახებ, რამაც უფრო შინაარსიანად გახადა ის.

დასასრულ მომხსენებელმა მოუწოდა კრებას ფეხზე ადგომით პატივი ეცენ მოძრაობაში დაკარგულ გმირების ხსოვნას.

შემდეგი მოხსენებით გამოვიდა ამხანაგი დანდუროვი კვირეული ცნობების შესახებ.

სამხკორი სანდროშვილი.

## დრამწრე ამუშავდა ლენკუთხეში.

**1-ლი არტლეგიონი.**

ლეგიონის ლენინის კუთხეების მოღვაწეობაში ამ უკანასკნელ ხანებში დრამწრეც ჩაება და დაიწყო მუშაობა. გამოყოფილი არიან დრამწრის წევრები კუთხეებისათვის და ატარებენ საუბრებს. ამას წინად პირველი ცდა მშვენიერი შედეგით დამთავრდა. ჩატარებული იქნა საუბარი ცრუმორწმუნეობაზე. ამ ჟამად კი ასეთივე საუბრები ტარდება 9 იანვრისა და საერთოდ 1905 წლის რევოლიუციის შესახებ. საუბრებთან ერთად კუთხეებში იკითხება რევოლიუციონური ლექსები, სახუმარო სცენები და სხვა. ამჟამად განზრახული გვაქვს აგრეთვე ჩავატაროთ ლენკუთხეში ინსცენიროვკებიც, რასაც დიდი სიხარულით ელიან ჩვენი წითელარმიელები.

სამხკორი მინადორაშვილი.

## გვინახულა ათასეულის თავმა.

**მე-4 ლეგიონის მე-9 ასეული.**

ამ რამოდენიმე დღის წინად ჩვენი ასეულის საქმიანობა ინახულა ათასეულის თავმა, რომელმაც დაწვრილებით გაიგო ასეულის სრული მდგომარეობა.

ჩვენი ნაწილის გარდა ათასეულის თავმა ინახულა ჩვენ მიერ მოწყობილი სამხედრო კუთხე ახალქალაქის სამაზრო კლუბში, რაც მას ძლიერ მოეწონა. გარდა ამისა ათასეულის თავს ჩვენ უამბეთ იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობას ვაწარმოებთ მოსახლეობის გასამხედროებისათვის ახლო-მახლო სოფლებში სამხედრო კუთხეების მოწყობისა და აქ მიმდინარე მუშაობის საშუალებით. მან ჩვენი მუშაობა მოიწონა საერთოდ და გვისურვა მომავალში კიდევ უფრო ენერგიული მუშაობა.

ასეულის წითელარმიელებზე ათასეულის თავის საუბარმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

იმედი გვაქვს, რომ ათასეულის მეთაური შემდეგშიაც ხშირ-ხშირად გვინახულებს და გაეცნობა ჩვენს ყოფა-ცხოვრებას.

სამხკორი ა. იმერლიშვილი.

## ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

**3-მე ლეგიონი.**

23 დეკემბერს ლეგიონში მოწვეული იქნა ახკომკავშირის გაერთიანებული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ორგანიზატორის მიერ თავისი მუშაობის შესახებ. მოხსენება და საერთოდ მისი მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო, რომელიც აღნიშნული იქნა მიღებულ რეზოლიუციაში. ხელახალი გადარჩევის დროს კრებამ ხმის უმრავლესობით ისევ ძველი ორგანიზატორი დასტოვა თავის ადგილზე, როგორც უფრო გამოცდილი ამხანაგი და უსურვა მას ენერგიული მუშაობა.

ამორჩეული იქნა აგრეთვე კომკავშირის შობის მომწყობი კომისია, რომელსაც დაევალა საღამოს მოწყობაც ამ დღისათვის.

წ. არმ. იოსელიანი.

## წვევამდელ მზადების წერტებზე.

## კარგათ ვემზადებით.

**მე-4 ლეგიონის ქვ. ჭალის წერტი.**

უკვე ერთი თვეა, რაც დაიწყო წვევამდელების მეცადინეობა ქვემო ჭალის წერტზე. სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. წვევამდელები ძლიერ მუყაითად ეკიდებიან მეცადინეობას. იმათ ყველაფრის შესწავლა ძლიერ აინტერესებთ.

წერტზე არ აქვს ადგილი წვევამდელთა არიდებას და არც სხვა რაიმე უწესობას, მეთაურები და პოლიტხელები დიდ ყურადღებას აქცევენ წვევამდელების მომზადებას.

ამ ხნის განმავლობაში წვევამდელებმა შეძლებისდაგვარათ კარგათ შეისწავლეს: წყობილება, დამიზნება დაზგაზე და მოვალეობები შ. ს. წესდებიდან. პოლიტსაათებზეც დიდ აქტივობას იჩენენ. წვევამდელებმა კარგათ შეისწავლეს სხვადასხვა სიმღერებიც.

ადგილობრივ ორგანიზაციებთანაც კარგი კავშირი აქვთ წერტის უფ-პოლიტ-შემადგენლობას, ყოველგვარ დახმარებას უწევს ადგილობრივი ხელისუფლება ჩვენს წერტს. აქ ჩამოყალიბებულია ა. ლ. კ. კ. ჯგუფიც, რომელიც სისტემატიურ მართავს კრებებს და დიდ დახმარებას უწევს უფროსებს წერტის მუშაობაში.

სამხკორი ლ. უზნაძე.

## გამოუშვით კედლის გაზეთი.

**მეექვსე ლეგ მეხუთე ასეულის ქვემო მაჩხაანის წერტი.**

წერტზე მეცადინეობის დაწყების შემდეგ არჩეულ იქნა კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია, რომელიც შეუდგა გაზეთის გამოცემას. ამ საქმის ხელმძღვანელობა იკისრა წერტის ახკომკავშირის კოლექტივმა. კედლის გაზეთის პირველი ნომერი გამოშვებულ იქნა 15 დეკემბერს, რომელმაც თავისი შინაარსით ძლიერ დააინტერესა, როგორც წვევამდელები, ისე ახლო-მახლო მცხოვრები გლეხები. ყველა ესენი დიდის ხალისით კითხულობენ ამ გაზეთს და ეცნობიან წერტის საერთო საქმიანობას, მუშაობის ნაკლს და დადებით მხარეებს, წვევამდელთა ყოფა-ცხოვრებას და სხვა. გაზეთში კარგად არის დაყენებული იუმორისტული განყოფილება.

წერტის ამ კედლის გაზეთის სამხკორებად ითვლებიან წვევამდელები და გლეხები, რომლებიც დაუზარებლად აწვდიან მასალებს სარედაქციო კოლეგიას.

ვუსურვებთ სარედაქციო კოლეგიას კიდევ უფრო ენერგიულ მუშაობას კედლის გაზეთის გაუმჯობესებისა და მის სისტემატიურად გამოცემისათვის.

წერტის ახკორი
მეფარიშვილი.

## ჩვენი მიღწევები 1925 წელში.

**მე 3 ლეგიონი.**

... ლეგიონს სულ ერთი ... და 3-მი თვის ისტორია ... უმთავრესად ჩვენ 1925 ... ჩამოვყალიბდით და ... ონის ხელმძღვანელების ... ული მუშაობის მეოხებით დღეს ჩვენ თითქმის არ ... ჩებით სხვა ლეგიონებს.

... ქმთდა სამნეო დარგში. ... ლეგიონმა სულ მცირე ხნის ... ობაში მშვენივრად მოაწყო ყაზარმა, მოაწყვეს სასადილო, სადაც დაახლოებით ... აგიდა არის დადგმული ... სკამებით. შენობაში გაკეთებულია ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებენ სისუფთავისაკენ.

... ოფოთ შეკეთებული იქნა სამზარეულოები, მოწყობილი იქნა კლუბი, სადაც თავისუფლად თავსდება 500-მდე ...

... ყოფის საქმე ძალიან კარგად დაყენებული, წითელ არმიელებს ეძლევათ სადილათ ორი თავი საჭმელი, უმზადებენ აგრეთვე ვახშამსაც, დიდი ყურადღებაა მიქცეული საჭმლის განოყიერებაზე.

მოწყობილია ყველა ასეულებში და ჯგუფებში ადუღებული წყლის მიწოდება და სხ.

**საკლუბო მუშაობა.**

ლეგიონში ამ უკანასკნელ დროს გაცხოველდა წრეების მუშაობა, ამ ახლო ხანში 30 წითელ არმიელი დაამთავრებს სამხკორთა სემინარს.

ლეგიონში დაარსებულია დრამ-წრე, სისტემატიურად ტარდება წარმოდგენები. უკვე დაიწყო კინო-სურათების ჩვენება გარნიზონის მასშტაბით.

**სამკითხველო.**

ლეგიონს აქვს სამკითხველო მაგრამ სამწუხაროდ ცოტა მოიპოება ქართული სამხედრო ლიტერატურა. სასურველია ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ-არს.

**სამხედრო მომზადების საქმე**

სამხედრო მომზადების საქმე ლეგიონში ძლიერ კარგ დონეზეა დაყენებული. შტაბის მიერ გაცემული პროგრამები შესრულებულია მთელი 100 პროცენტით. დისციპლინა მტკიცე და ურყევია.

**ახ. ლ. კ. კ. მუშაობა.**

კომ-კავშირის მუშაობა ლეგიონში საუკეთესოდ არის დაყენებული. კ. კ. წევრები დაყოფილი არიან 8 ჯგუფათ, თითო ჯგუფს ყავს თავის ხელმძღვანელი.

აგრეთვე დაარსებულია პოლიტ-განვითარების წრეები. კ. კ. წევრები ჩაბმული არიან ლენ-კუთხეების მუშაობაში, სადაც ატარებენ ხმამაღალ კითხვას, კითხვა-პასუხის საღამოებს და საუბრებს ახალწვეულებთან სხვა და სხვა თემებზე. ყველა ამ მუშაობას ხელმძღვანელობს ლეგიონის კ. კ. ორგანიზატორი.

**წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.**

მცირე ხანში ლეგიონი ლიკვიდაციას უზამს წერა-კითხვის უცოდინარობას არმიელებში, სასურველია სასკოლო მუშაობის ხელმძღვანელებმა მოაწყონ ექსკურსიები სხვა და სხვა ადგილების დასათვალიერებლათ. მადლობის ღირსია ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილება, რომელმაც მოგვცა პარტები და დაფები, რის უქონლობაც ძლიერ გვიშლიდა ხელს.

**სანიტარული მდგომარეობა.**

დღემდის არ იყო მოწყობილი გარნიზონის მიერ აბანოს საკითხი, მაგრამ ამჟამად უკვე შემუშავებულია ცხრილი, რომლის მიხედვითაც ყველა ნაწილებმა თვეში სამჯერ უნდა გაიაროს აბანო.

თუ შევადარებთ გასულ წელთან დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას დავინახავთ, რომ ლეგიონი სდგას აყვავების გზაზე.

სამხკორი კენჭაძე.

## ჩვენი ყოფა-ცხოვრება.

**სამტრედიის წერტი.**

წერტზე მეცადინეობის დაწყებისთანავე გამოცხადდა წვევამდელთა მხოლოდ ნაწილი. ამის შემდეგ კი წერტი სრულიად შეივსო. ამ ჟამად წერტზე მეცადინეობას გადის 125 კაცი, რომელთა შორის დეზერტირობას ადგილი აღარა აქვს. კარგი და თავდადებული მუშაობით წერტის უფ-პოლიტშემადგენლობა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს წვევამდელთა შორის.

წერტზე უკვე ჩამოყალიბებულია კომკავშირის კოლექტივი, სადაც ირიცხება 27 წევრი. კოლექტივი სათანადო მუშაობას აწარმოებს პოლიტ-აღმზრდელობის დარგში უპარტიო წვევამდელთა შორის. აქ მოწყობილია ლენინის კუთხეც, სადაც სისტემატიურად ტარდება პოლიტ-საათები. წვევამდელები პოლიტ-საათების გატარებაში ღებულობენ მონაწილეობას და შეთვისებაც კარგია.

ამ რამდენიმე დღის წინად ჩვენი ძალებით წერტზე გამართულ იქნა საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენის დაწყებამდე მოხსენებით გამოვიდა ამხ. მამფორია, რომელმაც გარკვევით დაახასიათა ტერ-აღმშენებლობა და განსაკუთრებით წვევამდე მზადების ამოცანები. სიტყვა წარმოსთქვა სამტრედიის ა.ლ.კ.კ. რაიკომის მდივანმა ამხ. ტაბიძემაც, რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა კომკავშირის მუშაობას წვევამდელთა შორის. დაბოლოს მოხსენება გააკეთა წერტის პოლიტხელმა, რომელმაც დაახასიათა პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანები.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ გაიმართა სათანადო შინაარსიანი საღამო-წარმოდგენა, რამაც კარგად ჩაიარა და დამსწრეებში დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ა. მიქელაძე.

# ჩვენც ვმუშაობთ.

მე-6-ხე ლეგიონის მე-6-ხე ასეულის წერტი.

უკვე კარგა ხანია ჩვენი წერტის წვევამდელები დიდათ ინტერესებული არიან როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურ მეცადინეობით.

წერტზე არის ორ-სართულიანი შენობები აგებული, სადაც ცუდ ამინდში შესაძლებელია მეცადინეობის წარმოება.

გვაქვს ლენ-კუთხე მშვენიერად მოწყობილი, იქ თავისუფალ დროს ჩვენი წვევამდელები კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს. გამოუშვით კედლის გაზეთიც, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა წვევამდელებზე. გაზეთში არის ყოველივე დადებითი და უარყოფითი მხარეები აღნიშნული, მოთავსებულია ლექსები. წერტზე არის აგრეთვე ჩამოყალიბებული ა. ლ. კ. კ. კოლექტივი. სისტემატიურად გვაქვს ხმამაღალი კითხვა-პასუხი უპარტიო წვევამდელებთან და ყოველ კითხვაზე ეძლევად სათანადო ახსნა-განმარტება.

განზრახული გვაქვს 25 დეკემბერს გავმართოთ წარმოდგენა საკუთარი ძალებით, რასაც დიდი სიხარულით ელიან ჩვენი წვევამდელები.

წითელ არმიელი პ. ლობილაძე.

# გამოვასწოროთ ყოველივე ნაკლი

კავთ სხევის წვევამდელთა წერტი.

ამ ერთი თვის წინად დაიწყო კავთისხევის წერტზე 1904 წ. დაბადებულ ახალგაზრდათა მომზადება. თითქმის ყველა წვევამდელი შეეგება ასეთ საქმეს გულ ახურვალედ და შეგნებულად. გაკეთდა მოხსენებანი და ახსნა-განმარტებანი წვევამდელთა მომზადების შესახებ. მაგრამ ყველამ ვერ შეასრულა პირ-ნათლად თავისი მოვალეობა და ზოგიერთები დეზერტირობას ეწევიან.

არ მოგვეპოვება შესაფერი ბინა წერტისათვის, რის გამოც ყოველგვარი მეცადინეობა გვიხდება გარეთ გვიხდება.

წერტის მოწყობილობაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. დახმარება ვის მოვთხოვოთ არ ვიცით. ადგილობრივი თემ ალმასკომი ძლიერ ღარიბია. მაგრამ მიუხედავათ ასეთი დაბრკოლებებისა—ჩვენ მაინც გული არ გაგვტეხია და მივისწრაფით წ. ნ. სათემო სამკითხველოსთან, მჭიდრო კავშირის დაჭერამ შედეგათ მოგვცა წერტზე მოძრავი ბიბლიოთეკის გადმოტანა, სადაც მრავლათ მოიპოვება ლიტერატურა და სხვადასხვა პლაკატები. აქ მოწყობილია სამხედრო კუთხე და სხვა.

დიდ როლს თამაშობს წერტის ახკომკავშირის კოლექტივი ასეთი საქმეების მოგვარებაში, რომელსაც ჰყავს ბიურო და მდივანიც, შესდგება 11 კაცისაგან.

ბიურო-კოლექტივის ხელმძღვანელობით ხშირათ იმართება ლია კრებები, ეწყობა სხვა და სხვა გასამართლებები და სხვა.

წვევამდელი ა. ო.

# ამბები სოფლებიდან.

მილიციელთა სკოლა, ქალაქში (რაჭა) იხსნება სამარქ ფომილიციის მუშაკთა მოსამზადებელი ერთ თვიანი სკოლა.

გლეხკომის ქარხანა. 1925 წლის განმავლობაში პორონის (რაჭაში) სამაზრო გლეხკომის საპნის ქარხანას დაუმზადებია 800 ფუთი საპონი.

არტელები სოფლად. შორაპნის მაზრაში ამ ჟამად მოწყობილია 22 არტელი, აქედან 10 სავაჭრო და დანარჩენი შერეული ტიპისა.

ხიდის ასაგებათ. რაჭის ალმასკომმა გადასდო 15 ათასი მანეთი მდინარე კრიხულაზე ხიდის აგების დასამთავრებლათ.

თემალმასკომების მუშაობის გამოსაცოცხლებლათ რაჭის ალმასკომმა დაადგინა მიამაგროს ალმასკომის წევრები თემალმასკომებს.

შორაპნის და ზესტაფონის გლეხკომები აწარმოებენ სიმინდის და ღვინის შესყიდვას.

# ფეხოსნების არმიებში

## ხალხისთვის ჟანდარმების წინააღმდეგ.

ესპანეთის არმია მოითხოვს საყოველთაო არჩევნებით გაშვანილ მთავრობას.

ამას წინათ მოთავსებული გვქონდა ცნობები ესპანეთის არმიაში მომხდარ აჯანყების შესახებ, რომელიც მიმართული იყო ესპანეთის დიქტატორ პრიმოდე რივერას წინააღმდეგ.

ამ ჟამად გენერალ რივერას მდგომარეობა ძლიერ სახიფათოა. მასიური დატუსაღება არმიაში, მაროკოს წინააღმდეგ გამართულ ომში ნაგემი დამარცხება და სახელმწიფოს მძიმე ფინანსიური მდგომარეობა და საერთო უკმაყოფილება, ყველა ეს ცუდ საქმეს უქადის დიქტატორს.

დღე დღეზე მოელიან, რომ პრიმო-დე რივერა გადადგება, რომელიც, რომ გამოაკეთოს თავის მდგომარეობა იძლევა დაპირებას ახალი მთავრობის არჩევის შესახებ სამოქალაქო პირებიდან. ქ. მადრიდში (ესპანეთის დედაქალაქია) შეიკრიბენ ყველა ყოფილ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

გენერალი რივერა იმედოვნებს, რომ მთავრობის გადარჩევა წყნარად ჩატარდება.

თუმცა არმიის წარმომადგენლებმა განაცხადეს: „ჩვენ წინააღმდეგი ვართ, როგორც არ უნდა იყოს სამხედრო ხელისუფლების. ესპანეთის არმიას ხალხის მხარე უჭირავს და არა ჟანდარმების, და მხარს დაუჭერს მხოლოდ არჩეულ მთავრობას.

# ვინ იქნება შემდეგი?

პირველ იანვრიდან ვიწერ სამი თვით გაზეთ „წითელ არმიელს“ სოფ. საწირის სამკითხველოსთვის და ამავე მიზნისათვის ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ქარ. სამხ. პოლიტ-სკოლიდან კურსანტებს: ამხ. გიორგი კუპატაშვილს, ამროსი ცხადაძეს, გერასიმე გადახაზაძეს, ვასილ კიკვიძეს, ვლადიმერ დარჩიაშვილს, გრიშა ძაგნიძეს და კაკო კოპალეიშვილს.

პირველ საარტ-ლეგიონიდან; მეოთხე ბატ. პოლიტხელს ამხ. ხუჭუას, სკოლის პოლიტ-ხელს ამხ. ნოზაძეს და კლუბის უფროსს ამხ. წითლანაძეს.

მუშფაკიდან კურსანტებს: ამხ. შალიკო ქასრაშვილს, ვალიკო რიჟამაძეს, აკაკი ვარდოსანიძეს და მიხა ვარდოსანიძეს.

საწირიდან აღმასკომის თავმჯდ. ამხ. გ. ქასრაშვილს.

იმედია აღნიშნული ამხანაგები გამოეხმაურებიან და გამოუწერენ თავიანთ სოფლის ქოხსამკითხველოებს გაზეთ „წითელ არმიელს“.

კურსანტი მიშა ცქიფურიშვილი.

## თვითმკვლელობა გერმანიის არმიაში.

უკანასკნელ ხანებში გერმანეთის არმიაში ძლიერ გავრცელდა ჯარის კაცების თვითმკვლელობა. თვითმკვლელობის მიზეზებს აშკარად არკვევს გაზეთ „ფორვერტსში“ დაბეჭდილი ერთი ჯარის კაცის წერილი:

29 ნოემბერს,—სწერს გერმანელი ჯარის კაცი,—მე ვიმყოფები ჰოსპიტალში. ჩავარდი აქ მე შემდეგნაირად: დღეს დილით 11 საათზე იარაღის გადატანის დროს, მარჯვენა ფეხი ჩამივარდა მორბალის ქვეშ. მწყობრიდან გამოსვლისთანავე ჩემი თოფი გადავეცი ამხანაგს. ექიმთან მხოლოდ ნაშუადღევის ორ საათზე გადამგზავნეს.

ექიმთან გამგზავრების დროს „როტმისტრმა“ მითხრა:

— „იცოდე რაც შეიძლება ჩქარა მორჩი! მორჩენისთანავე მომახსენე პატაკით! ჩვენ გაგიშვებთ შვებულებაში, არამზადავ! თქვენ მხოლოდ ამ გვარად უნდა მოგექცეთ კაცი!

„ამიტომ გასაკვირი არ არის—განაგრძობს წერილს ავტორი—„რომ ჯარის კაცები მიმართავენ თვითმკვლელობას. ერთი მათგანი გადავარდა ჭაში, მეორე — მატარებელს ჩუავარდა ქვეშ. ხვალ გასვენება იქნება.

გერმანელ ჯარის კაცს გასაჩივრებაც არ შეუძლია, რადგან მთელი უფროსთა შემადგენლობა ვილჰელმის ყოფილ ოფიცრებიდან შესდგება.

# პასუხი შეკითხვებზე.

№-ს ჯამაგირების ახალი განაკვეთი არ ვრცელდება უმცროს მეთაურებზე, ვინაიდან მათ მოემატათ ჯამაგირი ოქტომბერში.

ბლიაძეს. უვადო შვებულებაში წახვალთ შემოდგომაზე. რაც შეეხება იმას, მაზარა მოგეცემათ თუ არა წასვლის დროს, ამის შესახებ იქნება ბრძანება თავის დროზე.

ვ. ბურეშიძეს. ხე-ტყის მასალა უნდა მოგეცეთ 25-75 პროც. დაკლებულ ფასებში, როგორც წ. არმიელს. (საკავშირო ცაკის დადგენილება 29 ოქტ. 1925 წ.)

ნოზაძეს. სამსახური გეთვლებათ დღიდან გამოცხადებისა ნაწილში.

ზარნაძეს. საკითხის გამოსარკვევად მიმართეთ თქვენს სამწეო ნაწილის უფროს.

დარახველიძეს. როგორც საშუალო სასწავლებელ გათავებულს შეგიძლიათ ერთი წლის სამსახურის შემდეგ ჩააბაროთ გამოცდები საშუალო მეთაურზე და წახვიდეთ უვადო შვებულებაში, ისე კი ოჯახური მდგომარეობა არ გაგანთავისუფლებს.

თ სესეურიას. ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

გოგაძეს. დახმარებისთვის უნდა მიმართოდ ადგილობრივ ალმასკომს.

ლ-ძეს. ერთი წლის შემდეგ სამსახურს გაათავებთ მხოლოდ მაშინ, თუ ჩააბარებთ გამოცდებს საშუალო მეთაურზე, ისე კი უნდა იმსახუროთ ორი წელი.

ხურცილავას. მიმართეთ ტერსამმართველოსთან არსებულ მთავარ მიმღებ კომისიას საქმის გამოსარკვევად.

მსურველს. პარტსკოლაში მიღება იწყება აგვისტოს თვიდან.

მ—ლს. მოკლე ვადიან შვებულებაში წ. არმ. წასვლა შეიძლება განსაკუთრებულ ოჯახურ პირობების გამო, რის დამამტკიცებელი საბუთები უნდა წარუდგინოთ თქვენს უფროს.

გოგის. უნდა მიმართოთ ლეგ. უფროსს ექიმს და თუ საჭიროდ დაინახა გაგაგზავნის კომისიაში.

ბზიკს. ჯამაგირი უნდა მიიღოთ თანამდებობის მიხედვით.

ა—ძეს. ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ წ. არ. ამოირიცხება ლეგიონის სიიდან.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. მელი-ს თქვენი ლექსი გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ამ. ა. კუხელს. თქვენი კორესპონდენცია: „მოგვაქციეთ ყურადღება“, გადაეცა 2-რე დივიზიის შტაბს.

ამხ. კერესელიძეს თქვენი წერილი 2-რე არტლეგ. 2 წერტის შესახებ გამოდგება კედლის გაზეთისთვის.

ამხ. პ. ბურკაძეს (2 არტლეგ.) თქვენი კორესპონდენცია ...რტიულ ცხოვრებაზე არ დაიბეჭდება ასეთი იყო ... გაზეთში.

ამხ. მუშას თქვენი წერილი არ გამოდგა.

ამხ. ამხ. ა. კ—აძეს და ცინცაძეს: თქვენი წერილები: „...ნი თხოვნა არ დარჩენილა უყურადღებოთ“ და „...ხუთის რკინის გზის შესახებ“ არ გამოდგა. სწერეთ ...წილის ცხოვრებიდან.

ამხ. ბნელის. თქვენი ლექსი „გრდემლთან“ არ დაიბეჭდება.

ამხ. მალხასიანცს თქვენი წერილი: „რაშია საქმე“ გაუშვით კედლის გაზეთში.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები კომპარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: ლაბარტყავა ოლიფანტე ზ... ზიმესძეს (სენაკის მაზრის მცხოვრები ბანძის რაიონი სოფელ ...ფიეტაში. ა. ლ. კ. კ. წევრია). იაკოფ ანდროს ძე კაკაბაძე ქუთაისის მაზრის სოფელ კუბელის მცხოვრები.

კომუჯრედი სთხოვს ყველას თუ ვინმემ რაიმე იცის ... მო აღნიშნულ ამხანაგების შესახებ უარყოფითი გვაცნობოს ერთი კვირის განმავლობაში—მხოლოთ სათანადო საბუთებით.

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

# განცხადება

ამხანაგო წითელ არმიელო!

გახსოვდეს შენი მოვალეობა.

გმართებს არაჩვეულებრივი მზრუნველობა.

ყოველ დღე შეეკითხე შენს თავს—

რა გააკეთე მთელი დღის განმავლობაში,

რამდენი ხელისმომწერი უშოვე

„წითელ არმიელ“-ს

გამოიწერე — გაავრცელე — გამოიწერე — გაავრცელე

# რა ღირს „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 50 კაპ.
3 თვით — 1 მ. 35 კ.
6 თვით — 2 მ. 50 კ.
12 თვით — 5 მან.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 40 კაპ.
3 თვით — 1 მ. 10 კ.
6 თვით — 2 მ.
12 თვით — 3 მ. 80 კაპ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ № 8. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანქვეტაძე